# ფრე ლუქსემბურგში

როგორც ვიტყობინებოდით, ბელგიაში ჩატარებული მატჩების შემდეგ თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრა ლუქსემბურგს, სადაც 22 ნოემბერს შეხვდა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებ გუნდს.

მატჩი თბილისელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ვერც ერთი შესაძლებლობა. გარდა ამისა, მასპინძლები ერთობ “იღბლიანები” აღმოჩნდნენ – ბურთი რამდენიმეჯერ მოხვდა ძელს. საბოლოოდ ფიქსირებულ იქნა ფრე – 0:0.

თბილისის “დინამო” ამჟამად იმყოფება პარიზში, სადაც 25 ნოემბერს შეხვდება “რესინგს”.

24 ნოემბერი, 1959 წ.